INSTITUTE FOR DEVELOPMENT
OF FREEDOM OF INFORMATION

IDFI

ინფორმაციის თავისუფლების
განვითარების ინსტიტუტი

საქმიანობა და მიღწევები

2009 - 2015

INSTITUTE FOR DEVELOPMENT
OF FREEDOM OF INFORMATION

IDFI

ინფორმაციის თავისუფლების
განვითარების ინსტიტუტი

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI)

საქმიანობა და მიღწევები
2009 - 2015

თბილისი, საქართველო
2015

სარჩევი:

მისია და მიზნები 5

საქმიანობის მთავარი მიმართულებები 5

- სამოქალაქო კონტროლი 5
- კვლევითი საქმიანობა 5
- ადვოკატირება 6
- ცნობიერების ამაღლება 6
- გამჭვირვალე არქივები 6

მთავარი მიღწევები 7

კოალიციები 9

დაფინანსება 9

ვებ-რესურსები 10

მულტიმედია 11

მონაცემთა ვიზუალიზაცია..... 11

საინფორმაციო ბიულეტენი..... 11

სამართლებრივი ბაზა..... 12

სოციალური ქსელები..... 12

ჩვენი დონორები 13

მისია და მიზნები

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI) არის ქართული არასამთავრობო ორგანიზაცია, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს ხელისუფლების ღიაობასა და ინფორმირებული სამოქალაქო საზოგადოების განვითარებას საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გზით.

IDFI დაარსდა 2009 წელს ორი მკვლევარის, გიორგი კლდიაშვილისა და ლევან ავალიშვილის მიერ.

საქმიანობის მთავარი მიმართულებები

- სამოქალაქო კონტროლი
- კვლევითი საქმიანობა
- ადვოკატირება
- ცნობიერების ამაღლება
- გამჭვირვალე არქივები

სამოქალაქო კონტროლი

IDFI სამოქალაქო კონტროლს ახორციელებს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მონიტორინგის გზით. ჩვენ ათასობით მოთხოვნას ვგზავნით საქართველოს ყველა საჯარო დაწესებულებაში, მიღებულ ინფორმაციას ვაანალიზებთ როგორც სტატისტიკურად ისე შინაარსობრივად და ვაქვეყნებთ სპეციალურად შექმნილ ვებგვერდზე - www.opendata.ge. ამ მხრივ, ჩვენი მთავარი პროექტია Opendata.ge, რომელსაც 2010 წლიდან ვახორციელებთ. 2014 წლიდან მასში დამატებით სამი არასამთავრობოს (საერთაშორისო განმჭვირვალობა - საქართველო, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, მწვანე ალტერნატივა) ბაზა გაერთიანდა.

კვლევითი საქმიანობა

ჩვენი საკვლევი სფეროებია: ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, კარგი მმართველობა (საჯარო სამსახურის რეფორმა, მამხილებელთა დაცვა, ანტიკორუფციული რეფორმები), მართლმსაჯულების რეფორმა, მედიის თავისუფლება, ელექტრონული მმართველობა და ელექტრონული დემოკრატია, ინტერნეტის თავისუფლება, ტელეკომუნიკაცია, საჯარო პოლიტიკის ანალიზი, შრომის უფლება, სამოქალაქო ჩართულობა, გამჭვირვალე არქივები, სამართლებრივი რეფორმა, ეკონომიკა და სოციალური პოლიტიკა და სხვა.

ადვოკატირება

წლების მანძილზე ჩვენ წარმატებით ვუწევთ ადვოკატირებას დადებით ცვლილებებს. უკვე მიღწეულ წარმატებებს შორისაა: ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნებისა და ელექტრონული მოთხოვნის ვალდებულება, ქონების დეკლარაციების წარმდგენ პირთა სიის გაზრდა, საჯარო სამსახურის რეფორმის კონცეფციის განხორციელება, ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის სტრატეგია, მთავრობის და მოქალაქეთა ელექტრონული კომუნიკაცია, მედიის პლურალიზმი და გამჭვირვალობა და სხვა.

ცნობიერების ამაღლება

საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით ჩვენ ხშირად ვატარებთ საჯარო დისკუსიებს, პრეზენტაციებს, კონფერენციებს, სემინარებს, სამუშაო შეხვედრებს, ტრენინგებსა და საინფორმაციო კამპანიებს (ვიდეოებისა და ფლაერების მომზადება და გავრცელება) შემდეგ საკითხებზე: ინფორმაციის თავისუფლება, პარტნიორობა ღია მმართველობისთვის (OGP), ინტერნეტის თავისუფლება, ელექტრონული მმართველობა და სხვა.

პროექტის „საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზა (www.opendata.ge)“ ფარგლებში ჩვენ ყოველწლიურად ვაჯილდოებთ ყველაზე გამჭვირვალე და დახურულ საჯარო დაწესებულებებს.

გამჭვირვალე არქივები

ჩვენი ერთ-ერთი პირველი საქმიანობა იყო საარქივო კვლევები, არქივების გამჭვირვალობისა და საარქივო დოკუმენტების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. საარქივო კვლევებზე დაყრდნობით ჩვენ ვმუშაობთ XX საუკუნის ისტორიის შეფასებასა და გაანალიზებაზე, ასევე, ტოტალიტარული სისტემების შესწავლაზე. ამ მიმართულებით ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო პროექტი იყო „სტალინის სიები საქართველოზე“, რომლის ფარგლებშიც შევაგროვეთ და გავაანალიზეთ მონაცემები 1937-1938 წლების „დიდი ტერორის“ მსხვერპლთა შესახებ.

მთავარი მიღწევები

IDFI არჩეულ იქნა ღია მმართველობა საქართველოს ფორუმის თანათავმჯდომარედ.

IDFI არჩეულ იქნა ანტიკორუფციული საბჭოს სამუშაო ჯგუფების თანათავმჯდომარედ.

IDFI-ს პირდაპირი მონაწილეობით შეიქმნა ღია მმართველობა საქართველოს (OGP) სამოქმედო გეგმები.

IDFI-ს მონაწილეობით შეიქმნა პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი საჯარო ინფორმაციის სია.

IDFI-მ აქტიური მონაწილეობა მიიღო ინფორმაციის თავისუფლების შესახებ ახალი კანონპროექტის შემუშავებაში.

საქართველოს მთავრობამ აიღო საჯარო ინფორმაციის ელექტრონულად გამოთხოვისა და პროაქტიული გამოქვეყნების ვალდებულება.

IDFI-ს მხრიდან ადვოკატირებისა და მხარდაჭერის შედეგად საქართველოს პარლამენტი შეუერთდა ღია მმართველობის პარტნიორობას.

Transparify-ს კვლევითი ორგანიზაციების გამჭვირვალობის რეიტინგში IDFI-მ უმაღლესი, 5-ვარსკვლავიანი შეფასება მიიღო.

პროექტი Transparify დაფინანსებულია ღია საზოგადოების ფონდების კვლევითი ორგანიზაციების ფონდის მიერ და იმართება CRRC-ს მიერ.

დაიწყო ფარულ მიყურადებასთან დაკავშირებული სტატისტიკური მონაცემების პროაქტიული გამოქვეყნება.

გაუმჯობესდა საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების მაჩვენებელი.

2010 წლიდან მონიტორინგისა და ადვოკატირების შედეგად გაუმჯობესდა საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მაჩვენებელი.

სასამართლო პროცესების შედეგად უფრო ღია გახდა ინფორმაცია საჯარო ფინანსების განკარგვასთან დაკავშირებით.

IDFI-ს მიერ განხორციელებული სტრატეგიული სამართალწარმოება ხელს უწყობს საქართველოში ინფორმაციის თავისუფლების განვითარებას.

IDFI-ს კვლევების შედეგად გამომჟღავნდა კორუფციული გარიგებების, ნეპოტიზმის, უფლებების გადამეტების, ბიუჯეტის არამიზნობრივი ხარჯვისა და სხვა სამართალდარღვევების შემთხვევები.

IDFI-ს უშუალო რეკომენდაციებით შეიქმნა ღია მონაცემების სახელმწიფო პორტალი www.data.gov.ge.

IDFI-ს მიერ შეიქმნა მთავრობის ელექტრონული პეტიციების ვებგვერდის კონცეფცია - Ichange.ge, რომლის განხორციელებაც საქართველოს მთავრობამ OGP-ის ფარგლებში ერთ-ერთ ვალდებულებად აიღო.

IDFI-ს ადვოკატირების შედეგად ეროვნული უშიშროების საბჭო შეუერთდა ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების სტანდარტებს.

გაიზარდა ქონებრივი დეკლარაციების წარმდგენ თანამდებობის პირთა სია.

IDFI-ს რეკომენდაციებით გაუმჯობესდა მამხილებელთა დაცვის შესახებ კანონმდებლობა.

IDFI-ს რეკომენდაციები გათვალისწინებული იქნა საქართველოს შრომის კოდექსში.

IDFI-ს რეკომენდაციები გათვალისწინებულ იქნა საჯარო სამსახურის შესახებ კანონში.

საქართველოს მთავრობამ გაითვალისწინა IDFI-ს რეკომენდაციები ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის სტრატეგიასთან დაკავშირებით.

IDFI-ს მონაცემები და კვლევები აისახა შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის ადამიანის უფლებათა ანგარიშებში, Freedom House-ისა და სხვა საერთაშორისო ანგარიშებში და რეიტინგებში.

IDFI-მ მონიტორინგითა და ადვოკატირებით ხელი შეუწყო საქართველოს მაჩვენებლის გაუმჯობესებას გაეროს ელ-მმართველობის განვითარების ინდექსში.

განსაიდუმლოვდა, მოდერნიზდა და გაციფრულდა საქართველოს ყოფილი სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის საიდუმლო დოკუმენტაცია.

IDFI-ს მონაწილეობით გადარჩა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის არქივი.

სოფლის მეურნეობის სამინისტრო დათანხმდა, მოახდინოს ზოგიერთი სახელმწიფო საწარმოების პრივატიზება მას შემდეგ, რაც IDFI-ს კვლევამ აჩვენა, რომ სახელმწიფო კუთვნილებაში არსებული საწარმოების უმეტესობამ ზარალი განიცადა.

IDFI-მ ტრენინგები ჩაუტარა 4000 საჯარო მოსამსახურეს, და 2000-მდე ჟურნალისტს, არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელს, სტუდენტსა და სკოლის მოსწავლეს.

კოალიციები

IDFI შემდეგი კოალიციების წევრია:

კოალიცია მედია ადვოკატირებისთვის
ღია მმართველობა საქართველოს ფორუმი
კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათაშორისი საბჭო
კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის
აღმოსავლეთის პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმა
საქართველოს ღია პარლამენტის სამუშაო ჯგუფი

დაფინანსება

IDFI-ის განხორციელებული აქვს ათეულობით პროექტი. სრული ინფორმაცია განხორციელებული და მიმდინარე პროექტების შესახებ იხილეთ ვებგვერდზე – www.idfi.ge.

ჩვენი საქმიანობის დაფინანსება სრულად გამჭვირვალეა. ყველა დეტალი გამოქვეყნებულია ჩვენს ვებგვერდზე. 2015 წლის აგვისტოში Transparify-ის კვლევითი ორგანიზაციების გამჭვირვალობის რეიტინგში უმაღლესი, 5-ვარსკვლავიანი შეფასება მივიღეთ.

ჩვენი მთავარი დონორებია: EU, USAID, OSF, OSGF, UNDP, ასევე, საელჩოები – გერმანიის, ჰოლანდიის, შვეიცარიის – და სხვადასხვა კერძო და საერთაშორისო ფონდები. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსება არ მიგვიღია.

ჩვენი ბიუჯეტი წლების მიხედვით:

2011 - 150,000 აშშ დოლარი
2012 - 374,000 აშშ დოლარი
2013 - 270,700 აშშ დოლარი
2014 - 485,132 აშშ დოლარი
2015 - 399,984 აშშ დოლარი

გარდა ამისა, მომზადებული გვაქვს ერთიანი დოკუმენტი, რომელშიც მოცემულია ყველა დაფინანსებული პროექტის აღწერილობა. დოკუმენტი რეგულარულად ახლდება და იტვირთება ვებგვერდზე (www.idfi.ge) განყოფილებაში – „მისია და მიზნები“.

ვებ-რესურსები

IDFI-ის შექმნილი აქვს რამდენიმე მნიშვნელოვანი ვებ-რესურსი:

საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზა

http://www.opendata.ge

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ პირთა მონაცემთა ბაზა

გამჭვირვალე არქივები

თანამდებობის პირთა დეკლარირებული შემოსავლების ვიზუალიზაცია (2011-2012);

ვებგვერდი ინტერნეტის თავისუფლებისთვის

http://www.freedomtointernet.com

საჯარო დაწესებულებების საინფორმაციო (ინტერნეტ) რესურსების მონიტორინგის რეიტინგი (2011);

საჯარო ინფორმაციის მოთხოვნების სტატისტიკა (2011)

სასამართლო სტატისტიკის მოდული

პროექტი საქართველოს დამოუკიდებლობის შესახებ

http://www.damoukidebloba.com

გარდა ამისა, გვაქვს ბლოგებიც:

საჯარო ინფორმაციის ანალიტიკური ბლოგი

ღია მმართველობა

ელექტრონული ჩართულობა

საქართველო 2020

მულტიმედია

IDFI-ის შექმნილი აქვს რამდენიმე ვიდეო-რგოლი:

- შენი აქტიურობა ცვლილებებისთვის
- პარტნიორობა ღია მმართველობისთვის (OGP) - საქართველო
- ელექტრონული ჩართულობა
- პეტიციები თბილისის მერიას
- შეცვალე კანონი

მონაცემთა ვიზუალიზაცია

IDFI-ის შექმნილი აქვს მონაცემთა რამდენიმე ვიზუალიზაცია (ე.წ. ინფოგრაფიკა) შემდეგ თემებზე:

- 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომი
- 2013-2015 წლებში ავღანეთში დაჭრილი და დაღუპული ქართველო სამხედროები
- „სად შეგიძლიათ შეიძინოთ სეტ-ტოპ-ბოქსები?

საინფორმაციო ბიულეტენი

2014 წლის აგვისტოდან IDFI ყოველთვიურად ამზადებს საინფორმაციო ბიულეტენებს, სადაც შეჯამებულია გასული თვის მნიშვნელოვანი აქტივობები.

სამართლებრივი ბაზა

IDFI-ის ვებგვერდზე განთავსებულია შემდეგი სამართლებრივი ბაზები:

ეროვნული სამართლებრივი აქტები	IDFI-ს სასამართლო პრაქტიკა
ეროვნული სასამართლო პრაქტიკა	საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკა

სოციალური ქსელები

IDFI წარმოდგენილია შემდეგ სოციალურ ქსელებში:

Facebook	IDFI.official
Twitter	IDFIGeorgia
Youtube	IDFIGeorgia
LinkedIn	Institute for Development of Freedom of Information (IDFI)
Somondo	Institute for Development of Freedom of Information (IDFI)
Wikipedia	Institute for Development of Freedom of Information

ჩვენი დონორები:

OPEN SOCIETY FOUNDATIONS

OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
ფონდი ღია საზოგადოება საქართველო

USAID
FROM THE AMERICAN PEOPLE

UNDP
Empowered lives.
Resilient nations.

UNITED STATES OF AMERICA
U.S. EMBASSY TBILISI

Kingdom of the Netherlands

Federal Foreign Office

Schweizerische Eidgenossenschaft
Confédération suisse
Confederazione Svizzera
Confederaziun svizra

Embassy of Switzerland

გრიბოედოვის ქუჩა 3
თბილისი, 0108, საქართველო
www.idfi.ge | info@idfi.ge
+995 322 921514